პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

20 იანვარი ოთხშაბათი 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 16 (14926)

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

ფართოდ გავავრცელოთ მოწინავე მბურღავთა ბრიგადების მუშაობის გამოცდილება ნავთობის მრეწველობისა და გეოლოგიურ-საძებნელო ორგანიზაციებში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა ნავთობის მრეწველობისა და გეოლოგიურ-საძებნელო ორგანიზაციებში მოწინავე მბურღავთა ბრიგადების მუშაობის გამოცდილების ფართოდ გავრცელების საკითხი. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ნავთობის მრეწველობისა და გეოლოგიურ-საძებნელო ორგანიზაციების მბურღავთა ბრიგადების ბევრმა კოლექტივმა სოციალისტურ შეჯიბრებაში ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად და ხუთწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის შესანიშნავი. შრომითი წარმატებანი მოიპოვა.

ტიუმენის ოლქის მოწინავე ბრიგადებმა, რომლებსაც მეთაურობენ ამხანაგები შაკშინი, პეტროვი და იაგოფაროვი, 1.600-1.800 მეტრი სიღრმის ჭაბურღილების ბურღვის დროს მკაცრ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში, თვითეულ ბრიგადაზე ბურღვა გაზარდეს წელიწადში 58-60 ათას მეტრამდე, რაც თვალსაჩინო წარმატებაა ბურღვის პრაქტიკაში და 1,5-2-ჯერ აღემატება დასავლეთ ციმბირის ნავთობის რაიონებში მიღწეულ შრომის ნაყოფიერების დონეს. ამ დარგში მაღალი მაჩვენებლები მოიპოვეს აგრეთვე 2.300-2.500 მეტრი სიღრმის ჭაბურღილების ბურღვისას ამხანაგების აგაფონოვის, ლევინის, სერგეევისა და ლევანოვის ბრიგადებმა, რომელთა შედეგი წელიწადში 45-50 ათასი მეტრი თითო ბრიგადაზე. ტიუმენის ოლქის მოწინავე მბურღავებმა ეს წარმატებანი მოიპოვეს ბურღვის ფორსირებულ რეჟიმების უნარიანად გამოყენების, ჰიდრომონიტორული ხატვების დანერგვის, საბურღი მოწყობილობის ეფექტიანად გამოყენების, მუშათა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკთა მაღალი კვალიფიკაციის, მბურღავთა ბრიგადების მუდმივი შემადგენლობისა და წარმოების სხვა შინაგანი რეზერვების მობილიზაციის შედეგად.

ნავთობის უდიდეს რაიონში — თათრეთის ასს რესპუბლიკაში შრომის მაღალ ნაყოფიერებას მიაღწიეს ამხანაგების ნურუტდინოვის, ხაზიევის, შინკინის, გალეევისა და ანმეტზიანოვის ბრიგადებმა, რომლებიც წელიწადში ბურღავენ 25-35 ათას მეტრ ჭაბურღილს, მაშინ როცა ამ რაიონში საშუალო ბურღვა დაახლოებით 21 ათასი მეტრია.

კარგი შედეგები მოიპოვეს ამხანაგების კრამაროვისა და კაზიონოვის მბურღავთა ბრიგადებმა ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასს რესპუბლიკაში, ამხანაგების სოხოდოვისა და მოჩალნიკოვის ბრიგადებმა კუიბიშევის ოლქში, ამხ. მუზირას ბრიგადამ სტავროპოლის მხარეში, ამხ. კოვალენკოსი — პოლტავის ოლქში. ისინი რთულ გეოლოგიურ პირობებში მუშაობენ და ბურღავენ 5-6 ათასი მეტრი სიღრმის ჭაბურღილებს.

აღნიშნულოვანი წარმატებანი აქვთ აგრეთვე მბურღავთა ბრიგადებს, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ამხ. შიბოვი პერმის ოლქში, ამხანაგები ახმეტგარეევი და ნოვიკოვი ბაშკირეთის ასს რესპუბლიკაში, ამხანაგები ფედოშჩენკო და სუხანოვი გურიევის ოლქში, ამხანაგები აზიზოვი და მაგომედოვი დაღესტნის ასს რესპუბლიკაში, და ბევრ სხვას.

მბურღავთა ნაუკეთესო ბრიგადების ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები [illegible] ასახავენ [illegible] ველის ბრიგადა მნიშვნელოვანი გადაბარებით [illegible] ბურღვის [illegible] ბურღვის [illegible] ბრეებს, უზრუნველყოფს ფულადი და მატერიალური რესურსების ეკონომიას.

დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ გადაწყვეტილებამ სკკპ XXIV ყრილობის მოწვევის შესახებ ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია მბურღავთა ბრიგადების კოლექტივებში, რომელთაგან ბევრმა იკისრა გადდებული სოციალისტური ვალდებულებანი პარტიის ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ მოწინავე კოლექტივების გამოცდილების ფართოდ გავრცელება საშუალებას მოგვცემს ავამოქმედოთ ნავთობის მრეწველობის ბურღვის ხარჯარმოებსა და გეოლოგიურ ორგანიზაციებში არსებული წარმოების დიდი შინაგანი რეზერვები, უზრუნველვყოთ შრომის ნაყოფიერების გადიდება და ბურღვის სამუშაოთა ღირებულების შემცირება. ეს დიდმნიშვნელოვანი საფუძველი იქნება იმისა, რომ წარმატებით შესრულდეს ახალ ხუთწლედში ნავთობისა და გაზის მოპოვების დავალებანი.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა მბურღავთა მოწინავე ბრიგადების მუშაობის დადებითი გამოცდილება, რომლებმაც მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების გაყვანის დროს, და დავალა სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის სამინისტროს, გეოლოგიის სამინისტროს, ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალურ კომიტეტსა და გეოლოგიურ — საძებნელო საწარმოების მუშათა პროფკავშირის ცენტრალურ კომიტეტს გააძლიერონ მუშაობა მბურღავთა მოწინავე ბრიგადების გამოცდილების შესასწავლად, შეიმუშაონ და გეოლოგიურ-საძებნელო საწარმოებში ჩვენი ქვეყნის ბურღვის ყველა საწარმოში მათი მიღწევების ფართოდ დანერგვისათვის; უზრუნველყონ ბურღვის სამუშაოთა ღირებულების შემცირება და გაყვანის სიჩქარეთა ზრდა ყველა ნავთობ-გაზიან რაიონში და მთლიანად ამ დარგებში.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, ნავთობიანი და გაზიანი რაიონების პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, ნავთობის მრეწველობის საწარმოთა და გეოლოგიურ-საძებნელო ორგანიზაციების პარტიულ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ დროულად დაუჭირონ მხარი მოწინავე ბრიგადების თაოსნობასა და ინიციატივას, ყველგან მოაწყონ მუშაობა მათი გამოცდილების გავრცელებისათვის, ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი ტექნიკურ პროგრესს ბურღვაში და ბურღვის სამუშაოთა ეფექტიანობის ამაღლებაში, საათავეში ჩაუდგნენ მბურღავთა ბრიგადების კოლექტივებს შორის სკკპ XXIV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებას.

დაღესტნის ასს რესპუბლიკის 50 წლისთავი

სკკპ დაღესტნის საოლქო კომიტეტს დაღესტნის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაღესტნის ასსრ მინისტრთა საბჭოს

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაღესტნის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დაჯილდოების შესახებ



კომუნისტურ მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვის და დაღესტნის ასსრ შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით დაღესტნის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოდეს ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. ბიორბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1971 წ. 19 იანვარი.

სსკპ ცენტრალური კომიტეტი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

1971 წ. 19 იანვარი.



მახაჩყალა. ლენინის სახელობის მოედანი. ფოტო რ. ლიკისა (საკლესის ფოტოქრონიკა).

ბრძანებულებანი

ლენინური გზით

მოძმე ხალხთა ერთსულოვან ოჯახში

მახაჩყალა. 19 იანვარი. (საკლესი). ღირსშესანიშნავ თარიღს — დაღესტნის ასსრ ნახევარი საუკუნის იუბილეს მიეძღვნა სკკპ საოლქო კომიტეტისა და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული სხ ე ი მ ო სხდომა, რომელიც აქ გაიმართა.

პრეზიდიუმში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ. ი. პეტროვსკი, სკკპ საოლქო კომიტეტის ბიუროს, დაღესტნის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელები, აგრეთვე მეზობელი რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების დელეგაციათა ხელმძღვანელები, რომლებიც ზეიმზე ჩამოვიდნენ.

საზეიმო სხდომა გახსნა სკკპ დაღესტნის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ს. ი. ამბასნოვმა.

შეკრებილთა გულის გრილაში სიტყვა პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს.

სიტყვა ეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბ. ი. პეტროვსკს.

თქვენთან წამოსვლამდე, თქვენ გ. ი. ვორონოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მორიგ სხდომაში ვმონაწილეობდი. პოლიტბიუროს წევრებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა დამავალეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის პირველ მდივანმა მ.-ს. ი. ამბასნოვმა.

ბრეჟნევმა ასეთ ფრაზებში ... ...

ლენინური გზით

(დასასრული).

ლური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით გულმხურვალედ მოგილოცოთ თქვენ და თქვენი სახით დაღესტნის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, ყველა მშრომელს დიდი და ნათელი დღესასწაული — დაღესტნის ასს რესპუბლიკის შექმნის 50 წლისთავი.

ნება მიბოძეთ აგრეთვე გულითადად მოგილოცოთ რუსეთის ფედერაციის მთავრობის სახელით.

დიდმა ოქტომბერმა, განაგრძო ორატორმა, გამოაღვიძა და შთააგონა თავისი ცხოვრების სოციალისტურად გარდაქმნისათვის საბრძოლველად ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი, მათ შორის დაღესტნის ხალხებიც, მიანიჭა მათ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი განვითარების უფლება, შეუქმნა ყველა პირობა სწრაფი სამეურნეო და კულტურული აღმავლობისათვის. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება დაღესტანში მისი პარტიული ორგანიზაციის აქტიური საქმიანობის შედეგი იყო. დაღესტნის კომუნისტები ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ყოველთვის იყვნენ საბჭოების ხელისუფლებისათვის, სოციალისტურ საწყისებზე მთელი ცხოვრების გარდაქმნისათვის მშრომელი მასების ბრძოლის პირველ რიგებში.

გ. ბ. ვორონოვმა დამსწრეთ მოაგონა, რომ საბჭოების ხელისუფლებისა და ახალი საზოგადოების აშენებისათვის დაღესტნელი ხალხის ბრძოლის მთელი ისტორია განუყოფელად არის დაკავშირებული დიდი ლენინის სახელთან და მის მიერ შექმნილ ბოლშევიკთა პარტიასთან.

დღეს ჩვენ, თქვა ორატორმა, სიამაყით აღვნიშნავთ, რომ სულ მხოლოდ ერთი თაობის სიცოცხლის განმავლობაში მეფის რუსეთის წინათ მიყრუებული, ჩამორჩენილი ეროვნული განაპირა მხარე განვითარებული სოციალისტური რესპუბლიკა გახდა. წვრილი შინამრეწველური სახელოსნოებიდან თანამედროვე სამრეწველო საწარმოებამდე, ადამისდრო ნიდელი სახნისიდან ტრაქტორამდე და კომბაინამდე, კვარიდან მძლავრ ჩირკეის ჰიდროელექტროსადგურამდე, სიბნელიდან და ჩამორჩენილობიდან მთლიან წიგნიერებამდე, ეროვნული შეღლილიდან ნამდვილ ძმურ მეგობრობამდე — ასეთია შესანიშნავი გზა, რომელიც დაღესტანმა გამოიარა საბჭოთა ხელისუფლების დროში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

შემდეგ ორატორი შეეხო რესპუბლიკის მშრომელთა წარმატებებს სამრეწველო განვითარების, სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმეში.

როგორც ამბ. ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა საახალწლო გამოსვლაში რადიოთი და ტელევიზიით, „ყველა ჩვენი წარმატება საბჭოთა ადამიანების შთაგონებული შრომის, გმირი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის, ჩვენი დიდი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა რესპუბლიკის მშრომელთა ნებისა და მოქმედების ერთიანობის შედეგია, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სწორი პოლიტიკის შედეგი“.

დღეს, იუბილეს დღეს, განაგრძო გ. ი. ვორონოვმა, დაღესტნის ასს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებაში მოპოვებულ დიდ წარმატებებს რომ აღვნიშნავთ, გვსურს გულითადი მადლობა გადაეუხადოთ იმათ, ვინც თავისი თავდადებული შრომით გარდაქმნა ეს მხარე, ვისი მარჯვენითაც შეიქმნა ახალი ქალაქები და ქარხნები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, ვინც ყოველდღიურად ქმნის მატერიალურ ფასეულობებს.

საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი შესანიშნავი მონაპოვარია მიიელი ქალის განთავისუფლება, მამაკაცთა თანაბარი უფლებების მინიჭება, მისი ჩაბმა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, დაღესტნელ ქალთა შორის დღეს ბევრი გამოჩენილი მეცნიერი, სახელმწიფო და პარტიული მუშაკი, შრომის გმირი, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეა.

უდიდესი სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნები, კულტურის უმაგალითო აყვავება და ხალხის კეთილდღეობის ამაღლება დაღესტნის ასს რესპუბლიკაში შესაძლებელი გახდა იმის შედეგად, რომ კომუნისტური პარტია განუხრელად ახორციელებდა და ახორციელებს ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას, განაგრძო გ. ი. ვორონოვმა. ახდა ვ. ი. ლენინის ოცნება, რომ კავკასიის ხალხთა მჭიდრო კავშირი „შექმნის ბურჟუაზიის დროს ირანისელი და ბურჟუაზიულ წყობილებაში მეუძლებელი ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუშს“.

როგორც მშვიდობიანი მშენებლობის წლებში, ისე დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში ჩვენი ქვეყნის ხალხებმა, დაღესტნის მშრომელებმა საქმით დაამტკიცეს ერთგულება მარქსიზმ-ლენინიზმის, ხალხთა მეგობრობის, საბჭოთა პატრიოტიზმის დიადი იდეებისადმი. რესპუბლიკის დროშას ამშვენებს ორი ორდენი — შრომის წითელი დროშის ორდენი და ლენინის ორდენი, რომლებიც ადასტურებენ დაღესტნელი ხალხის შრომის და საბრძოლო გმირობას.

შეეხო რა 1970 წლის შედეგებს, ორატორმა აღნიშნა, რომ ეს იყო განსაკუთრებული წელი ჩვენი ხალხის ცხოვრებაში, საზეიმოგარეთის ქვეყნების ასეულ მილიონოვნებით მშრომელთა ცხოვრებაში. მთელმა პროგრესულმა მსოფლიომ ზეიმით აღნიშნა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი. ლენინის სახელოვანი იუბილეს ზეიმი მარქსიზმ-ლენინიზმის ტრიუმფის, სოციალიზმისა და კომუნიზმის გრანდიოზულ მიღწევათა დიდებულ დემონსტრაციად, თანამედროვეობის რევოლუციური ძალების დათვალიერებად გადაიქცა.

საბჭოთა ადამიანებისათვის 1970 წელი მერვე ხუთწლედის დამამთავრებელი წელიც იყო. ახლა სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, განაცხადა, გ. ი. ვორონოვმა, რომ წარმატებით შესრულდა სკკპ XXIII ყრილობის დირექტივები ინდუსტრიული პოტენციალის ზრდის, ეროვნული შემოსავალი, მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის მოცულობა და განვითარების ტემპები, მშრომელთა კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლება. ვადამდე შეასრულა ხუთწლედი დაღესტნის ასს რესპუბლიკამაც.

ჩვენმა სამშობლომ კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადადგა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გზაზე, გაიზარდა მისი ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება. ეს ყველაზე უკეთ მოწმობს, თუ რამდენად ცხოვრებისეულია პარტიის ლენინისეული ბრძანება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, ეკონომიკის მართვის მეთოდების სრულყოფისათვის, ცხადყოფს, თუ რა უდიდეს ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას ეწევა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია.

ახლა, განაგრძო ორატორმა, ჩვენ, კომუნისტური პარტია ემზადება მორიგი, XXIV ყრილობისათვის. ლენინური პარტიის ყოველი ყრილობა დიდი ისტორიული მოვლენაა მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. ამიტომ პარტიის ყრილობისათვის მზადება ყველაან მიმდინარეობს საბჭოთა ადამიანების უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის, ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილი მასობრივი სოციალისტური შეჯიბრების გითარებაში.

სკკპ XXIV ყრილობა შეაჯამებს ჩვენი სამშობლოს ეკონომიური ძლიერების, საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის განმტკიცებისათვის პარტიის უდიდესი შემოქმედებითი მუშაობის შედეგებს, დასახავს კომუნისტური მშენებლობის ახალ ამოცანებს, განიხილავს და დაამტკიცებს ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის დირექტივებს.

გ. ი. ვორონოვმა აღნიშნა, რომ მომავალი ხუთწლედი სახავს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაჩქარებული განვითარების ფართო პერსპექტივებს დაღესტნის ასს რესპუბლიკაშიც.

შემდეგ გ. ი. ვორონოვი შეეხო საერთაშორისო მდგომარეობის, საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის საკითხებს.

შემდეგ მან წაიკითხა სსრ კავშირის უმაღესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაღესტნის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დაჯილდოების შესახებ.

შეკრებილთა ტაშის გრიალში გ. ი. ვორონოვმა საშობოლოს მაღალი ჯილდო რესპუბლიკის დროშას მიაბა.

გ. ი. ვორონოვმა წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება სკკპ დაღესტნის სოოლკომ კომიტეტისადმი, დაღესტნის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და დაღესტნის ასსრ მინისტრთა საბჭოსადმი. საზეიმო სხდომის მონაწილეები ამ მისალმებას მეტუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

მან გადასცა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს მისალმება, რომელიც წაიკითხა დაღესტნის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ შ. მ. შამხალოვმა.

დამსწრეთ გ. ი. ვორონოვის სიტყვა დიდი ყურადღებით მოისმინეს. მისი სიტყვის დროს არაერთხელ გაისმოდა ტაში.

შემდეგ სკკპ დაღესტნის სოოლკომ კომიტეტის პირველმა მდივანმა მ.-ხ. ი. უმახანოვმა გააკეთა მოხსენება „დაღესტნის ასს რესპუბლიკის 50 წელი“. საზეიმო სხდომის მონაწილეთა, რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით მან მადლობა გადაუხადა კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მის მბრძოლ შტაბს — პოლიტბიუროს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, ყველა საბჭოთა მთავრობას მაღალი ჯილდოსათვის, კეთილი სურვილებისა და დაღესტნელი ხალხების მისალმებისათვის. მან გულითადი მადლობა გადაუხადა აგრეთვე რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და რუსეთის ფედერაციის მინისტრთა საბჭოს.

მ.-ხ. ი. უმახანოვმა დაახასიათა სახელოვანი გზა, რომელიც დაღესტნის ხალხებმა განვლეს საბჭოთა ხელისუფლების წლებში და მოიყვანა რესპუბლიკის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის ზრდის, მშრომელთა კულტურისა და კეთილდღეობის ამაღლების მკაფიო დამაჯერებელი ციფრები.

დაღესტნის მშრომელებმა, ხაზგასმით აღნიშნა მომხსენებელმა, მტკიცედ იციან, რომ სოციალურ-პოლიტიკური მოსპოვრები, ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში მიღწეული წარმატებები არა მარტო საკუთრივ მათი შრომის, არამედ ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ხალხის მზარდი და მტკიცე თანამშრომლობისა და ძმური ურთიერთდახმარების შედეგია. სოციალისტური ინტერნაციონალიზმის მძლავრი ძალა და ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა მკაფიოდ გამოვლინდა გასული წლის მაისში, როცა მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებს თავს დაატყდა ძლიერი მიწისძვრა, ამ უბედურებაში ჩვენი რესპუბლიკა მარტოდმარტო როდი აღმოჩნდა. მიწისძვრის შედეგების წინააღმდეგ ბრძოლის პირველი საათებიდანვე, თქვა მ.-ხ. ი. უმახანოვმა, ჩვენ ვიგრძენით ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მამობრივი ზრუნვა. ნება მიბოძეთ, ამსახაგებო, საზეიმო სხდომის ყველა მონაწილის სახელით, დაღესტნის მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის, ყველა მშრომელის სახელით გულითადი მადლობა გადავუხადო ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს ჩვენთან ერთად, ...

ჩეხოსლოვაკია და სსრ კავშირი:

მტკიცდება სამეცნიერო კავშირ-ურთიერთობა

გვესაუბრება ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის თავმჯდომარე აკადემიკოსი კოჟეშნიკი

18 იანვარს დამთავრდა ჩეხოსლოვაკიის მეცნიერთა დელეგაციის ვიზიტი ჩვენს ქვეყანაში. ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის თავმჯდომარის ი. კოჟეშნიკის მეთაურობით. დელეგაცია მოიწვია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ. 12-17 იანვარს ჩეხოსლოვაკიელი სტუმრები ეცნობოდნენ სსრ კავშირისა და ბელორუსიის სსრ მეცნიერებათა აკადემიების, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების ნაშრომებსა და მოსკოვისა და მინსკის სხვა სამეცნიერო დაწესებულებებს. ახლინ იყვნენ აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტში, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში.

14 იანვარს ჩეხოსლოვაკიელ მეცნიერთა დელეგაცია მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. დარბაზობის დროს გაიმართა გულითადი, მეგობრული საუბარი.

მოსკოვში ხელი მოაწერეს ოქმს 1971-1972 წლებში და მომავალ ხუთწლეულში სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის აკადემიათა სამეცნიერო თანამშრომლობის შესახებ.

წამშობლოში გამგზავრების წინ საკადესის კორესპონდენტი ი. ნოვოკშონოვი შეხვდა ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის თავმჯდომარეს აკადემიკოს ი. კოჟეშნიკს და სთხოვა ეპასუხა მთელ რიგ კითხვებზე.

კითხვა: მეცნიერების რომელ დარგებში ვითარდება ყველაზე წარმატებით ჩეხოსლოვაკიის სამეცნიერო დაწესებულებათა თანამშრომლობა საბჭოთა დაწესებულებებთან?

პასუხი: ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიების ტრადიციულ თანამშრომლობას ვრცელი და მრავალგვარი ხასიათი აქვს. იგი ფაქტიურად მოიცავს სახალხო მეურნეობის ყველა დარგს. თავისი მოცულობითა და შედეგებით ეს კონტაქტები ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისათვის მეცნიერებისა და ტექნიკის დაჩქარებული განვითარების დიდმნიშვნელოვანი სტიმულია. ზოგადი სამეცნიერო-კვლევითი და ექსპერიმენტული გეგმების შემუშავებაში მონაწილეობს ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ორასზე მეტი ორგანიზაცია.

განსაკუთრებით წარმატებით ვითარდება ორმხრივი თანამშრომლობა კოსმოსური სივრცის კვლევის დარგში. ჩეხოსლოვაკიელი მეცნიერები და სპეციალისტები მოხაწილეობდნენ დედამიწის მთელი რიგი ხელოვნური თანამგზავრების, კერძოდ „ინტერკოსმოს-1"-ის მომზადებასა და გაშვებაში, რომელშიც სხვა აპარატურასთან ერთად დადგმული იყო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში დამზადებული სამეცნიერო აპარატურა.

კითხვა: ხომ ვერ გვეტყვით, რა კეთდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დარგში მრეწველობაში?

პასუხი: ბევრი რამ კეთდება. კარგი შედეგებია მიღწეული, კერძოდ, მთელი რიგი საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის დარგში. საბჭოთა ტექნიკური დოკუმენტაციის გამოყენების მეოზებით ჩეხოსლოვაკიაში არსებითად ამაღლდა წარმოების დონე საფეიქრო ინდუსტრიაში, ელექტროტექნიკაში, მეტალურგიაში, მშენებლობაში.

მოსკოვის მთელ რიგ ინსტიტუტებში ჩეხოსლოვაკიელ სპეციალისტებთან მჭიდრო თანამშრომლობით ამჟამად ამუშავებენ მსხვილი სამრეწველო ობიექტების ავტომატური რეგულირების სისტემების პროექტებსა და მართვის სხვა ავტომატიზებულ სისტემებს.

ჩვენი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა კვლავაც გაფართოვდება. ხელმოწერილი ოქმი ითვალისწინებს, მაგალითად, რომ წელს ჩვენ გავცვლით ექსპერტთა ჯგუფებს ხელსაწყოთმშენებლობის დარგში მუშაობის კოორდინაციის მიზნით. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია მონაწილეობას მიიღებს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის საკითხებზე სიმპოზიუმის მომზადებასა და მოწყობაში. ეს სიმპოზიუმი ჩეხოსლოვაკიაში გაიმართება 1971 წლის დამლეგს.

მეცნიერების განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი მიმართულებებით ერთობლივ სამუშაოთა აქტივიზაციის მიზნით იქმნება სხვადასხვა ორმხრივი კომისიები, კერძოდ, მოლეკულური შენაერთობისა და ქიმიური ბოჭკოების, მიკრობიოლოგიური პროცესებისა და ბევრი სხვა პრობლემის კომისიები. გაგრძელდება აგრეთვე ერთობლივი მუშაობა ეკონომიკის, ისტორიის, ფილოსოფიისა და სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში.

კითხვა: როგორ აფასებთ ჩეხოსლოვაკიელ მეცნიერთა დელეგაციის სსრ კავშირში ახლადდელი ვიზიტის შედეგებს?

პასუხი: ჩვენი დელეგაციის ყველა წევრი დიდად კმაყოფილია ერთობლივი მოლაპარაკების შედეგებით, რომლის დროს ხელი მოვაწერეთ ოქმს 1971-1972 წლებში. ხელმოწერილი ოქმი ითვალისწინებს, მაგალითად, რომ წელს ჩვენ გავცვლით ექსპერტთა ჯგუფებს ხელსაწყოთმშენებლობის დარგში მუშაობის კოორდინაციის მიზნით. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია მონაწილეობას მიიღებს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის საკითხებზე სიმპოზიუმის მომზადებასა და მოწყობაში. ეს სიმპოზიუმი ჩეხოსლოვაკიაში გაიმართება 1971 წლის დამლეგს.

მეცნიერების განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი მიმართულებებით ერთობლივ სამუშაოთა აქტივიზაციის მიზნით იქმნება სხვადასხვა ორმხრივი კომისიები, კერძოდ, მოლეკულური შენაერთობისა და ქიმიური ბოჭკოების, მიკრობიოლოგიური პროცესებისა და ბევრი სხვა პრობლემის კომისიები. გაგრძელდება აგრეთვე ერთობლივი მუშაობა ეკონომიკის, ისტორიის, ფილოსოფიისა და სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში.

კითხვა: როგორ აფასებთ ჩეხოსლოვაკიელ მეცნიერთა დელეგაციის სსრ კავშირში ახლადდელი ვიზიტის შედეგებს?

პასუხი: ჩვენი დელეგაციის ყველა წევრი დიდად კმაყოფილია ერთობლივი მოლაპარაკების შედეგებით, რომლის დროს ხელი მოვაწერეთ ოქმს 1971-1972 წლებში. ხელმოწერილ ოქმში ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიების სამეცნიერო თანამშრომლობის შესახებ. ეს ოქმი შეესაბამება ჩვენს ორმხრივ სურვილებს და მისწრაფებებს შემოქმედებითი კავშირ-ურთიერთობის შემდგომი განვითარების დარგში. მჭიდრო მეცნიერული კონტაქტები, კვლევითი მუშაობის გამოცდილების გაზიარება, მეცნიერთა კადრების ერთობლივი მომზადება — ყოველივე ეს საშუალებას მოგვცემს გადავდგათ ახალი ნაბიჯი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის შემდგომი თანამშრომლობა ნაყოფიერ და საყურადღებო შედეგებს მოიტანს ჩვენს ქვეყნებში კვლევითი მუშაობის განვითარებისათვის.

ვსარგებლობ შემთხვევით, თქვა დასასრულ აკადემიკოსმა ი. კოჟეშნიკმა, და მინდა ყველა ჩემი კოლეგის სახელით გულითადი მადლობა გადავუხადო სსრ კავშირისა და ბელორუსიის სსრ მეცნიერებათა აკადემიების ხელმძღვანელებს ჩეხოსლოვაკიელი მეცნიერების გულთბილი და მეგობრული მიღებისათვის.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲦᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲛᲑᲔ

● ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘ კვლავ უგულებელყოფს ლონისძიებებს, რომელთა მიზანია ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი მშვიდობის დამყარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის საფუძველზე, განაცხადა ავღანეთის პრეზიდენტ-მინისტრმა ნურ ამმედ ეთემადმ სადილზე, რომელიც მან გაუმართა აქ ვიზიტად მყოფ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეროვნული კრების თავმჯდომარეს ლაბიბ შუქეირს.

ᲙᲝᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲔᲜ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲐᲡ

● ᲖᲔᲓᲘᲖᲔᲓ მესამე დღეა ამერიკის ავიაცია მეკობრულად ესხმის თავს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას ბარბაროსულად ბომბავს ამ სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიას.

ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲔᲑᲘ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ

● 1972 წელს პრეზიდენტის მომავალ არჩევნებში დემოკრატიული პარტიის სტრატეგია და ტაქტიკა იყო ძირითადი საკითხები „დემოკრატიული მოქმედების მომხრე ამერიკელთა" ორგანიზაციის ორი დღის კონფერენციაზე.

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ

● ᲞᲐᲙᲘᲡᲢᲐᲜᲨᲘ გაიმართა ეროვნული ასამბლეის დამატებითი არჩევნები. კენჭისყრა მიმდინარეობდა ქვეყნის სამ ოლქში, სადაც არჩევნები შარშან დეკემბერში გადაიდო სტიქიური უბედურების გამო. სრულიად პაკისტანის სახალხო ლიგამ, რომელმაც გაიმარჯვა აღმოსავლეთ პაკისტანში, სულ ეროვნულ ასამბლეაში მიიღო 166 ადგილი 313-დან. პაკისტანის სახალხო პარტიას, რომელმაც გაიმარჯვა დასავლეთ პაკისტანში, აქვს 82 ადგილი. გარდა ამისა, მან ეროვნული ასამბლეის შემადგენლობაში უნდა შეიყვანოს კიდევ ოთხი თავისი წარმომადგენელი ქალებისათვის განკუთვნილ ადგილებზე.

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲝᲚᲝᲚᲐᲙᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ

● ᲐᲛᲐ ᲬᲚᲘᲡ თებერვალში გაიმართება ამერიკა-დასავლეთ გერმანიის მოლაპარაკების მორიგი ტური გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში განლაგებული ამერიკის მე-7 არმიის შენახვის ასიგნებათა შესახებ. ეს მოლაპარაკება იმართება ყოველ ორ წელიწადში და, როგორც წესი, გაქიანურებული ხასიათი აქვს.

ᲢᲐᲙᲢᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲯᲐᲮᲔᲑᲐ

● ორი 18 ათასი ტონა წყალწყვის ნავთობსახსმელი ტანკერი შეეჯახა ერთმანეთს ამერიკის შეერთებული შტატების წყნარი ოკეანის სანაპიროზე სან-ფრანცისკოს ნავსადგურში. კატასტროფა მოხდა 18 იანვარს დილით, როცა ნავსადგურში დიდი ნისლი ჩამოწვა. „სტანდარდ ოილ ოფ კალიფორნიის" კომპანიის ეს ორივე გემი შეჯახების მომენტში იყო იმ გიგანტური ხიდის „ოქროს ჭიშკრის" ქვეშ, რომელიც აკავშირებს სან-ფრანციკოს ყურის ორ ნაპირს. შეჯახების შედეგად ერთ-ერთი ტანკერი დაზიანდა და ყურეში გაედინა ნავთობის ნაკადები.

სპეციალური კორესპონდენტი ალ. ბ. ბ.

მსოფლიო დღე

ᲓᲔᲚᲘ

შეკავშირებისა და ერთიანობისათვის

ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული საბჭოს გენერალურმა მდივანმა რ. რაომ, რომელიც გამოვიდა მასობრივ მიტინგზე ინდოეთის ანდჰრა პრადეშის შტატის დედაქალაქ ჰაიდარაბადში, ყველა მემარცხენე და დემოკრატიულ პარტიას მოუწოდა შეკავშირდნენ და ერთად იმოქმედონ ქვეყნის პარლამენტის მომავალ ვადამდელ არჩევნებში.

პროგრესული ძალების გამარჯვების ინტერესებისათვის, განაცხადა რ. რაომ, ინდოეთის კომუნისტური პარტია მზად არის დადოს წინასაარჩევნო შეთანხმება ინდოეთის მემარცხენე და დემოკრატიულ პარტიებთან.

(19 იანვარი. საკდესი).

ᲓᲔᲚᲘ

ᲐᲜᲯᲔᲚᲐ ᲓᲔᲕᲘᲡᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

საშრანგეთის პრესა აქვეყნებს მასალებს, რომლებშიც გამოთქმულია პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ემზადებიან ანჯელა დევისის სასამართლო დასჯისათვის.

ჟურნალ „აფრიკაზიის" იანვრის ნომერში (ჟურნალი პარიზში გამოდის) დაიბეჭდა ინტერვიუ, რომელიც ანჯელა დევისის ადვოკატის დახმარებით მიიღო მისგან ჟურნალისტმა ს. მიერსონმა. ჟურნალისტმა ეს ინტერვიუ ბ. დევისს ჩამოართვა, როცა იგი ჯერ ნიუ-იორკის საპყრობილეში იყო, მაგრამ უკვე ცნობილი გახდა ნიუ-იორკის შტატის ხელისუფალთა გადაწყვეტილება გადაეცათ ბ. დევისი კალიფორნიის პოლიციისათვის.

კორესპონდენტის შეკითხვებზე ანჯელა დევისმა განაცხადა, რომ არ გაკვირვებია ეს გადაწყვეტილება, რომელიც ნიუ-იორკისა და კალიფორნიის შტატების გუბერნატორთა წინასწარი შეთანხმების შედეგი იყო.

„ამერიკის შეერთებული შტატების იურიდიული სისტემა რეპრესიების საშუალებაა, — თქვა ანჯელა დევისმა, — მას იყენებენ ჩაგრულ ხალხთა ბრძოლის ჩასახშობად, რეგიონალიური შეგნების დასათრგუნავად".

თავის ინტერვიუში ანჯელა დევისმა მადლი შეფასება მისცა საპროტესტო კამპანიას, რომელიც მთელ მსოფლიოში გაიშალა მისი სასამართლო დევნის წინააღმდეგ. „ყველა სოციალისტურმა ქვეყანამ სხვადასხვა ფორმით განაცხადა მტკიცე პროტესტი. დიდად გამაბარა ლონისძიებებმა რომლებიც ამასთან დაკავშირებით ევროპაში ხორციელდება... ყოველდღიურად ვიღებ 100-400 წერილს, რომელთა ნახევარი საზღვარგარეთიდან მოდის. მშვიდობის მსოფლიო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება მოაწყოს საერთაშორისო კამპანია ჩემს დასაცავად".

„ეს მხარდაჭერა ძალზე მნიშვნელოვანია, განაცხადა ანჯელა დევისმა, — მაგრამ, ეფიქრობ, რომ უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, ეს კამპანია რომ გადაქცეულიყო ბრძოლად ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველა პოლიტიკური პატიმრის გასთავისუფლებისათვის" (19 იანვარი. საკდესი).

ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲐ

ᲝᲚᲡᲢᲔᲠᲘᲡ ᲫᲚᲘᲔᲠᲓᲔᲑᲐ ᲠᲔᲞᲠᲔᲡᲘᲔᲑᲘ

ლონდონი. 19 იანვარი. (საკდესი). ინგლისის მთავრობამ და ოლსტერის ხელისუფლებამ მიიღეს გადაწყვეტილება გააძლიერონ რეპრესიები ჩრდილოეთ ირლანდიაში. ეს ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც გუშინ აქ გაიმართა ოლსტერის იუნიონისტური მთავრობის პრემიერ-მინისტრის ჩიჩესტერ-კლარკის მოლაპარაკება ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრთან რ. მოდლინგთან, რომელშიც თავდაცვის მინისტრი კარინგტონი მონაწილეობდა.

ინგლისის გაზეთები აშუქებენ მოლაპარაკებას და იმოწმებენ რა მთავრობის წარმომადგენლების განცხადებებს ლონდონში, აღნიშნავენ, რომ ხელისუფლებს აღარ სურთ დასჯერდნენ „გაფრთხილების ტაქტიკას".

უშიშროების ძალები, ხაზგასმით აღნიშნავენ გაზეთები, ახლა განახორციელებენ „აქტიურ შეტევას". ამ ახალი ტაქტიკის განხორციელებისადმი კონტროლისათვის ოლსტერში მალე საინსპექციოდ წავა ინგლისის თავდაცვის მინისტრი კარინგტონი.

გადაწყვეტილებას რეპრესიების გაძლიერების შესახებ აღფრთოვანებით შეხვდნენ ჩრდილოეთ ირლანდიის მემარჯვენე წრეები. როგორც გაზეთი „ფაინენშლ ტაიმისი" წერს, მემარჯვენეთა ლიდერებმა კრეიგმა და უესტმა მაშინვე განაცხადეს, სწორედ ასეთ პოლიტიკას მოვითხოვდით ყოველთვის ინგლისის მთავრობისა და ოლსტერის ხელისუფლებისაგან.

ლონდონი. 19 იანვარი. (საკდესი). ინგლისის პარლამენტის კიდევ ერთი წევრი — ჩრდილოეთ ირლანდიაში მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მოძრაობის მონაწილე ფრენკ მაკმანუსი საპყრობილეში ჩასვეს.

ენისკილენის სასამართლომ მას მიუსაჯა ექვსი თვის თავისუფლების აღკვეთა იმ ბრალდებით, რომ 28 ნოემბერს მონაწილეობდა „უკანონო პროცესიაში" — მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მებრძოლთა დემონსტრაციაში.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲐᲥᲠᲘᲢᲘᲙᲔᲑᲡ

დემოკრატმა სენატორმა ჯორჯ მაკგოვერნმა გადაწყვიტა დასასხელოს თავისი კანდიდატურა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტზე 1972 წლის არჩევნებში.

გამოაცხადა რა ეს რადიოთი და ტელევიზიით, მაკგოვერნმა პრეზიდენტ ნიქსონს ბრალი დასდო, რომ რესპუბლიკური მთავრობის პოლიტიკა აძლიერებს სასოწარკვეთილების გრძნობას ქვეყანაში.

სენატორმა მკვეთრად გააკრიტიკა აშშ-ის მთავრობის სავიეტნამო პოლიტიკა, „ჩვენ უნდა გვეყოს გაბედულება, რათა ვალიაროთ, განაცხადა მან, რომ საშინელი შეცდომა დავუშვით, როცა შევეცადეთ ამერიკის ჯარებისა და ბომბდამშენების საშუალებით მოგვეწესრიგებინა ვიეტნამელი ხალხის საშინაო საქმეები". შეერთებულმა შტატებმა, ხაზი გაუსვა მაკგოვერნმა, უნდა გამოაცხადოს სამხრეთ ვიეტნამიდან ამერიკის მთელი ჯარების გამოყვანის გარკვეული და უახლოესი თარიღი. „ეე კვისრულობ ასეთ ვალდებულებას რაიმე პირობის დაუთქმელად", თქვა მან. (19 იანვარი. საკდესი).

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲛᲑᲔ

● ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘ კვლავ უგულებელყოფს ლონისძიებებს, რომელთა მიზანია ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი მშვიდობის დამყარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის საფუძველზე, განაცხადა ავღანეთის პრეზიდენტ-მინისტრმა ნურ ამმედ ეთემადმ სადილზე, რომელიც მან გაუმართა აქ ვიზიტად მყოფ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეროვნული კრების თავმჯდომარეს ლაბიბ შუქეირს.

ᲙᲝᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲔᲜ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲐᲡ

● ᲖᲔᲓᲘᲖᲔᲓ მესამე დღეა ამერიკის ავიაცია მეკობრულად ესხმის თავს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას ბარბაროსულად ბომბავს ამ სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიას.

ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲔᲑᲘ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ

● 1972 წელს პრეზიდენტის მომავალ არჩევნებში დემოკრატიული პარტიის სტრატეგია და ტაქტიკა იყო ძირითადი საკითხები „დემოკრატიული მოქმედების მომხრე ამერიკელთა" ორგანიზაციის ორი დღის კონფერენციაზე.

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ

● ᲞᲐᲙᲘᲡᲢᲐᲜᲨᲘ გაიმართა ეროვნული ასამბლეის დამატებითი არჩევნები. კენჭისყრა მიმდინარეობდა ქვეყნის სამ ოლქში, სადაც არჩევნები შარშან დეკემბერში გადაიდო სტიქიური უბედურების გამო. სრულიად პაკისტანის სახალხო ლიგამ, რომელმაც გაიმარჯვა აღმოსავლეთ პაკისტანში, სულ ეროვნულ ასამბლეაში მიიღო 166 ადგილი 313-დან. პაკისტანის სახალხო პარტიას, რომელმაც გაიმარჯვა დასავლეთ პაკისტანში, აქვს 82 ადგილი. გარდა ამისა, მან ეროვნული ასამბლეის შემადგენლობაში უნდა შეიყვანოს კიდევ ოთხი თავისი წარმომადგენელი ქალებისათვის განკუთვნილ ადგილებზე.

ᲞᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲝᲚᲝᲚᲐᲙᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ

● ᲐᲛᲐ ᲬᲚᲘᲡ თებერვალში გაიმართება ამერიკა-დასავლეთ გერმანიის მოლაპარაკების მორიგი ტური გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში განლაგებული ამერიკის მე-7 არმიის შენახვის ასიგნებათა შესახებ. ეს მოლაპარაკება იმართება ყოველ ორ წელიწადში და, როგორც წესი, გაქიანურებული ხასიათი აქვს.

ᲢᲐᲙᲢᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲯᲐᲮᲔᲑᲐ

● ორი 18 ᲐᲗᲐᲡᲘ ტონა წყალწყვის ნავთობსახსმელი ტანკერი შეეჯახა ერთმანეთს ამერიკის შეერთებული შტატების წყნარი ოკეანის სანაპიროზე სან-ფრანცისკოს ნავსადგურში. კატასტროფა მოხდა 18 იანვარს დილით, როცა ნავსადგურში დიდი ნისლი ჩამოწვა. „სტანდარდ ოილ ოფ კალიფორნიის" კომპანიის ეს ორივე გემი შეჯახების მომენტში იყო იმ გიგანტური ხიდის „ოქროს ჭიშკრის" ქვეშ, რომელიც აკავშირებს სან-ფრანციკოს ყურის ორ ნაპირს. შეჯახების შედეგად ერთ-ერთი ტანკერი დაზიანდა და ყურეში გაედინა ნავთობის ნაკადები.

სპეციალური კორესპონდენტი ალ. ბ. ბ.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲦᲔ

ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ

ᲛᲣᲨᲘᲐᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

კაიროს პრესის, რადიოსა და ტელევიზიის ყურადღების ცენტრში კვლავ აჩის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის ვიზიტი.

ანალიზებს რა საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის ურთიერთობის ხასიათს, გაზეთი „ალ-აზბარი" სარედაქციო სტატიაში წერს, რომ „რობრრდ საბჭოთა კავშირი, ისევ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ჩვენი ქვეყნების მეგობრობასა და ნაყოფიერ თანამშრომლობას, რომელიც სულ უფრო მტკიცდება. მტრული პროპაგანდის ზერაზეიმარი ხრიკები და ცილისმწამებლური მონაჭორები, — ხაზგასმულია სტატიაში, — ვერ დაარღვევენ და ვერ შეარყევენ საბჭოთა კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხების ურთიერთსიმპათიების სიღრმესა და გულწრფელობას". გაზეთი აღნიშნავს, რომ „საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის ნიკოლოზ პოდგორნისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ანვარ სადათის სიტყვები ალექსანდრიის გემთსაშენში, კვლავ დამაჯერებლად ადასტურებენ, რომ სულ უფრო მტკიცდება საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის თანამშრომლობა თავისუფლებისათვის, მშვიდობისა და პროგრესისათვის",

„ალ-გუმჰურია" ხაზს უსვამს ნ. ვ. პოდგორნის სიტყვებს იმის შესახებ, რომ „ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა კავშირი იყო და არის არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და სხვა არაბული სახელმწიფოების ხალხებთან ერთად".

„საბჭოთა ხალხი იცავს არაბთა კანონიერ უფლებებს" — ასეთი სათაურით ბეჭდავს გაზეთი „ალ-აჰრამი" ნ. ვ. პოდგორნის სიტყვას ალექსანდრიაში. გაზეთი წერს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტს ალექსანდრიაში მოუწყვეს „ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო მიღება. ალექსანდრიის ათასობით მცხოვრები, — წერს გაზეთი, — გამარჯვებას უსურვებდა არაბეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას".

„ჩვენი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს იმ კეთილშობილურ როლს, რომელიც საბჭოთა კავშირისა და სხვა მეგობარი სახელმწიფოების ხალხებმა შეასრულეს მტრების წინააღმდეგ ჩვენი ბრძოლისათვის მხარდაჭერის საქმეში" — „ალ-აჰრამი" ბეჭდავს ალექსანდრიის გუბერნატორის მამდუჰ სალემის ამ სიტყვებს, რომელიც წარმოთქვა ამხ. ნ. ვ. პოდგორნის პატივსაცემად გამართულ სადილზე. (საკდესი).

ᲓᲔᲚᲘ

ᲨᲔᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული საბჭოს გენერალურმა მდივანმა რ. რაომ, რომელიც გამოვიდა მასობრივ მიტინგზე ინდოეთის ანდჰარ პრადეშის შტატის დედაქალაქ ჰაიდარაბადში, ყველა მემარცხენე და დემოკრატიულ პარტიას მოუწოდა შეკავშირდნენ და ერთად იმოქმედონ ქვეყნის პარლამენტის მომავალ ვადამდელ არჩევნებში.

პროგრესული ძალების გამარჯვების ინტერესებისათვის, განაცხადა რ. რაომ, ინდოეთის კომუნისტური პარტია მზად არის დადოს წინასაარჩევნო შეთანხმება ინდოეთის მემარცხენე და დემოკრატიულ პარტიებთან.

(19 იანვარი. საკდესი).

ᲓᲔᲚᲘ

ᲨᲔᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული საბჭოს გენერალურმა მდივანმა რ. რაომ, რომელიც გამოვიდა მასობრივ მიტინგზე ინდოეთის ანდჰარ პრადეშის შტატის დედაქალაქ ჰაიდარაბადში, ყველა მემარცხენე და დემოკრატიულ პარტიას მოუწოდა შეკავშირდნენ და ერთად იმოქმედონ ქვეყნის პარლამენტის მომავალ ვადამდელ არჩევნებში.

პროგრესული ძალების გამარჯვების ინტერესებისათვის, განაცხადა რ. რაომ, ინდოეთის კომუნისტური პარტია მზად არის დადოს წინასაარჩევნო შეთანხმება ინდოეთის მემარცხენე და დემოკრატიულ პარტიებთან.

(19 იანვარი. საკდესი).

ᲙᲕᲘᲜᲔᲚᲘ

ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲡᲔᲡᲘᲐ

კონაკრი. 19 იანვარი. (საკდესი). აქ ხალხის სახახლეში მუშაობა დაიწყო გვინეის ეროვნული კრების საგანგებო სესიამ, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა სახელი შეუფარონ პორტუგალიელ დაჭრავებულთ და მათს დამჭაშებს, რომლებმაც 1970 წლის 22 ნოემბერს ხელყვეს გვინეის რესპუბლიკის სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა.

სხდომის ოფიციალურად გახსნის შემდეგ კრების თავმჯდომარემ ლეონ მაკამ სიტყვა მისცა პრეზიდენტ სეკუ ტურეს.

გვინეის სახელმწიფოს მეთაურმა კვლავ მკვეთრად გააკრიტიკა პორტუგალიელი აგრესორები, რომლებიც ნატოს აგრესიული ბლოკის წევრი ქვეყნების დახმარებით მოქმედებდნენ. მაგრამ, აღნიშნა სეკუ ტურემ, არც ერთ ამ-ბავს ჯერ ასე დიდად არ განუმტკიცებია აფრიკელ ხალხთა ერთიანობა.

პრეზიდენტმა განსაკუთრებით აღნიშნა, რომ სოციალისტური ქვეყნები სავსებით უჭერენ მხარს გვინეას და ამავე დროს ხაზი გაუსვა, ისეთი ქვეყნები, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, ესპანეთი და ინგლისი, პირფერულ პოზიციას ადგენენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში პორტუგალიელ აგრესორთა დამგმობი რეზოლუციის კენჭისყრის დროსო.

პრეზიდენტის სიტყვის შემდეგ სესიამ მიიღო კანონი, რომელიც ეროვნულ კრებას პორტუგალიის აგრესიის გარეშეებთა გამოძიებისათვის ანიჭებს უმაღლესი რევოლუციური ტრიბუნალის ფუნქციებს.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ

„ᲤᲠᲝᲗᲘᲚᲘ ᲝᲞᲢᲘᲛᲘᲖᲛᲘ"

ზაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ ტანმა, რომელიც გამოვიდა 18 იანვარს პრეს-კონფერენციაზე, „ფრთხილი ოპტიმიზმი" გამოთქვა ახლო აღმოსავლეთში თავისი სპეციალური წარმომადგენლის გ. იარინგის მისიის პერსპექტივების გამო.

ამასთანავე გენერალურმა მდივანმა უარი თქვა გაგზავნილნა იარინგის მეშვეობით კონტაქტების მიმდინარეობა და ხაზი გაუსვა, რომ ეს კონტაქტები ამჟამად „ფრიად დელიკატურ სტადიაშია".

შეაჯამა რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საიუბილეო სესიის შედეგები, უ ტანმა იგი დაახასიათა როგორც „მნიშვნელოვანი ეტაპი ორგანიზაციის ისტორიაში". ეს სესია იყო „პოზიტიური და ნაყოფიერი მრავალი თვალსაზრისით", — თქვა მან.

უ ტანმა განაცხადა, რომ არ აპირებს კიდევ ერთი ვადით დარჩეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პოსტზე. მისი რწმუნებულების ვადა ამ პოსტზე გადის მომდინარე წლის დამლეგს. (19 იანვარი. საკდესი).

ᲙᲕᲘᲜᲔᲚᲘ

ᲡᲐᲥᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠ

საქართველოს ამბავი — ჩანაწერში

სპეჰჭრო ცენტრი სოფელ მუხრანში

შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანის მცხოვრებლებმა. გასულ კვირას აქ გაიხსნა დიდი სავაჭრო ცენტრი. ეს არის თანამედროვე ორსართულიანი შენობა, რომლის დარბაზების ფართობი შვიდასი კვადრატული მეტრია.

ფართოა ფეხსაცმლის, გალანტერეის, პარფიუმერიის, ტრიკოტაჟისა და შეკერილი ნაწარმის, ქსოვილების, კულტსაქონლის ასორტიმენტი. ბევრი კვების პროდუქტია სურსათის დარბაზში. სოფლის მშრომელთა განკარგულებაშია აგრეთვე კაფე, რომელიც მოთავსებულია პირველ სართულზე.

თვითმმსახურების მაღაზიაში მუშაობს ახალგაზრდული ბრიგადა, რომლის წევრები მყიდველებს ეხმარებიან საჭირო საქონლის შეძენაში.

პირველ დღეს მაღაზიის ბრუნვამ 25 ათასი მანეთი შეადგინა.

მუხრანის სავაჭრო ცენტრი სათვალავით 21-ე უნივერსალური სოფლის მაღაზიაა. წელს კიდევ 5 ასეთი მაღაზია გაიხსნება. (საქდესი).

23 მილიონი ბოთლი „ზვარე"

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). პარტიის XXIV ყრილობისა და საბჭოთა საქართველოს იუბილეს შესახვედრად მაღალნაყოფიერად მუშაობს ზვარეს მინერალური წყლის ჩამომსხმელი ქარხნის კოლექტივი. მან ვადამდე, და დიდი გადაჭარბებით შეასრულა ხუთწლიანი გეგმა, სამშობლოს მისცა 23 მილიონი ბოთლი „ზვარე", რაც 3.700 ათასი ბოთლით აღემატება დავალებას.

ამ წარმატებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს ქარხნის წარჩინებულმა ადამიანებმა შ. თიკანაშვილმა, ა. ფერაძემ, ლ. ჩიტაძემ, ტ. ჯაფარიძემ, ქ. ორთოიძემ, ა. ციალელაშვილმა და სხვებმა.

ზვარელები წელსაც ახალი მიღწევებისათვის იბრძვიან.

სიხარულის მაცნე

ხობი. მიუხედავად წელთა სიმრავლისა, გალმასაჯიჯაოელი ისაკ ნანეიშვილი კვლავაც მხნედ და ენერგიულად გამოიყურება.

30 წელია ფოსტალიონად მუშაობს. ყოველდღიურად, დარსა თუ ავდარში დროულად და უკლებლივ მიაქვს ხელმომწერლებისათვის ჟურნალ-გაზეთები, წერილები, პენსიები თუ სხვა სახის საფოსტო გზავნილებანი.

სიხარულის მაცნე, — ასე შეარქვეს თანასოფლელებმა ნანეიშვილს. მის ყოველ გამოჩენას აღტაცებით ხვდებიან, რადგან მას ყოველ ოჯახში წერილებთან, ჟურნალ-გაზეთებთან ერთად სასიხარულო ბარათებიც მიაქვს.

გალმასაჯიჯაოელი მშრომელები კმაყოფილი არიან ი. ნანეიშვილის მომსახურებით.

რ. ჭაკაია.

ე. შ. ბოცვაძე—

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ინფექციურ სნეულებათა კათედრის დოცენტმა ეთერ შალვას ასულმა ბოცვაძემ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ბოტკინის დაავადების კლინიკურ-ეპიდემიოლოგიური დახასიათება და პათოგენეზის ზოგიერთი საკითხი".

სსრ კავშირის უმაღლესი და სწავლული სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესმა სატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ე. შ. ბოცვაძისათვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

სოფელი ღონიერია

წალენჯიხა. (საკ. კორ.). წალენჯიხის რაიონის ობუჯის კოლმეურნეობაში ბევრი რამ გაკეთდა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. ახლახან ხარაზოები ჩამოიხსნა კოლმეურნეობის სახსრებით აშენებულ კულტურის სახლს, რომლის დარბაზი 700 მაყურებლისთვის არის გათვალისწინებული.

კოლმეურნეობის სახსრებით სამესხიოს უბანში აიგო კლუბი 200 მაყურებლისათვის, ჯალრასი — კლუბი და ბიბლიოთეკა, საფერშლო პუნქტი, სასურსათო და სამრეწველო მაღაზიები.

ელექტრობა, ტელევიზია, ტელეფონი, რადიო დიდი ხანია დამკვიდრდა სოფელში. წყალოდან გამოიყვანეს სასმელი წყალი. სოფლის ცენტრში შენდება შინმოუსვლელთა პარკი.

ახალი პავილიონები, ატელიეები

მესტია. (საკ. კორ.). რაიონში ყოველდღიურად იზრდება საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელი. ამ ცოტა ხნის წინათ რაიონის ერთ-ერთ დიდ სოფელში — ხაიში გაიხსნა ტანსაცმლის სამკერვალო, ფეხსაცმლის შემკეთებელი სახელოსნო, ჭვიბერში — ტანსაცმლის სამკერვალო, საპარიკმახერო, მულახში (ჟაბეშის უბანში) — ახალი ავეჯის გამოშვების საამქრო, ჭოლაშის უბანში — სამკერვალო.

საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მუშაკები არც რაიონის ცენტრის მოსახლეობას ივიწყებენ. მათ დაბა მესტიაში გახსნეს ხე-ტყის დამუშავებელი ქარხანა, საზეიმოდ საამქრო. მალე აქ გაიხსნება აგრეთვე რკინა-კავეულის საამქრო და წისქვილი, სოფელ ლატალში — სამკერვალო საამქრო და სამჭედლო.

ხელოვნების ქრონიკა

● ბათუმი. (საკ. კორ.). საგამოფენო დარბაზში გაიხსნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სახალხო მხატვართა ნამუშევრების გამოფენა.

გამოფენაზე ექსპონირებულია სსრ კავშირის სახალხო მხატვრების უ. ჯაფარიძის, ა. ქუთათელაძის, ვ. თოფურიძის, რსფსრ და საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის ს. ვირსალაძის, საქართველოს სსრ სახალხო მხატვრების ლ. გუდიაშვილის, ქ. მადალაშვილის, ვ. ახვლედიანის, ს. მაისაშვილისა და სხვათა ნამუშევრები.

● ტყიბული. (საკ. კორ.). საკავშირო ფესტივალის ლაურეატმა, ტყიბულის სახალხო თეატრის კოლექტივმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა შ. როყვას პიესა „დედა"- კ.

სპექტაკლის დამდგმელია რეჟისორი მ. ფურცხვანიძე, მხატვრობა ეკუთვნის საქართველოს სსრ დამსახურებულ მოღვაწეს, მხატვარ ხ. ყაზბეგს, მუსიკა — ნ. ვახტანგაძეს.

აქ მესამედ იყო საგასტროლოდ ამბროლაურის კულტურისა და დასვენების პარკთან არსებული ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „რაშოვდა".

ანსამბლმა კონცერტები გამართა მეშახტეთა კულტურის სასახლეში, აგრეთვე ლენინის სახელობის, სტალინის სახელობისა და ორჯონიკიძის სახელობის შახტებში.

ფოტო ვ. მორგაშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ორიგინალური საულსატურული კომპოზიცია დაიდგა კურორტ ბიჯვინთაში კლაჭზე შესასვლელთან. იგი თითქოს, იწვევს დამსვენებლებს ფუალკვეშა სამყაროში სამოგზაუროდ შავი ზღვის დელფინეგის თანხლებით.

საულპატურული ფიგურის ავტორია საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი გიორგი ოჩიაური. სურათზე: ახალ საულპატურულ კომპოზიციასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსაფრთხოების ნიშნით

ავტომეურნეობათა ტელეფონგაყვანილობისა და საბრძოლო ავტომობილების [illegible]

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს, საწარეწველო საწარმოებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, აგრეთვე საკუთარი ავტომანქანების მფლობელებს დაავალა 1971 წლის 1 ივნისამდე მოაწყონ მათ კუთვნილ სატრანსპორტო საშუალებათა გასანათებელი ფარების მინების ნიშანდება. ეს ხელს შეუწყობს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების დროულ მსელებას, რომლებსაც ამდენენ სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლები მოძრაობის უსაშიშრობის წესების უხეშად დარღვევის შედეგად, აგრეთვე ხელს შეუწყობს შემთხვევის ადგილიდან მიმალული შოფრების მოძებნას.

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ თბილისის № 1, 2, 6 და 8 ავტომომსახურების სადგურებთან, აგრეთვე სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, ზუგდიდში, მახარაძეში, გორში, თელავში, გურჯაანში, ცხინვალში, რუსთავში, ზესტაფონში, ახალციხეში, ჭიათურაში, ბორჯომსა და წალკაში მოაწყო ავტომობილის ფარების მინების ნიშანდების პუნქტები.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციას მითითება მიეცა 1971 წლის ტექნიკურ დათვალიერებაზე არ დაუშვას ავტომობილები, რომლებსაც არ ექნებათ ნიშანდებული ფარები, აკრძალოს ასეთი ავტომობილების ექსპლოატაცია და ჩამოართვას სახელმწიფო სანომრო ნიშნები. (საქდესი).

ი ს ი ნ ი ციურიხში გამოვლენ

ეგროპის ჩემპიონატი ფიგურულ ცეგურაობაში ქალაქ ციურიხში შედგება 2-დან 7 თებერვლამდე.

ცხობილია საბჭოთა ნაკრების შემადგენლობა. გუნდს სათავეში უდგახან მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები წყვილთა ასპარეზობასა და სპორტულ ცეკვებში ი. როდნინა და ა. ულახოვი, ლ. პახომოვა და ა. გორშკოვი. წყვილთა ასპარეზობაში გარდა ჩემპიონებისა გამოვლენ ლ. სმირნოვა და ა. სუროიკინი, გ. ყარელინა და გ. ბოროსკურინი, ცეკვებში — ტ. ვოიტიუკი და ვ. ყოგალინი, ე. ყარკოვა და გ. ყარპონოსოვი.

ვაჟთა ერთეულების ასპარეზობაზე საბჭოთა კავშირიდან გამოვლენ ს. ჩეტვერუხინი, ს. ვოლკოვი და ი. ოვჩინიკოვი, ქალთა შეჯიბრებაზე — მ. ტატარა და ე. ალექსანდროვა.

ვ. ჰარსელაძის მემორიალი

რვა ტურის შემდეგ

ბორი. 19 იანვარი. (ტელეფონით სპეც. კორ.). დღეს აქ გათამამდა ვ. ჰარსელაძის მემორიალის მერვე ტური ჭადრაკში.

ლიდერმა, თბილისელმა გროსმაისტერმა გუფელდმა ძლიერად ჩაატარა პარტია შავებით სავონის წინააღმდეგ და ეფექტური გაშარჯვება მოიპოვა. შტეინი ადვილად გაუსწორდა მეტოქეს. — კუთარაშვილს და კიდევ ერთი ქულა ჩაიწერა აქტივში. ფურმანმა მოუგო ბოკუჩავას. ალექსანდრია-ბურგენიძის პარტიაში მეტოქენი უაიმზე შეთანხმდნენ. ასეთივე შედეგით დამთავრდა პოდგაიეცკი-ჯინჯიხაშვილისა და მიქაძე-გაგუას პარტიები. უბილავა-პლატონოვის პარტია გადაიდო, სადაც პლატონოვი უპირატესობას ინარჩუნებს.

რვა ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილის სათავეში კვლავ ე. გუფელდს ვხედავთ, რომელსაც 6 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს მოსაგებ პოზიციაში. გროსმაისტერ ს. ფურმანს 5,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს.

ჭადრაკის მერიდიანებზე

ჰოლანდიის ქალაქ ბევერვიკში გრძელდება დიდი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი ეაკათოვის. უკვე გათამამდა ექვსი ტური.

საბჭოთა გროსმაისტერმა კორჩნოიმ კარგი სტილით მოუგო ოლაფსონს, ხოლო მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა პეტროსიანმა უკეთეს პოზიციაში გადადო პარტია ბრაზილელ ახალგაზრდა მოჭადრაკე მეკინგთან.

ჩეხოსლოვაკიელმა გროსმაისტერმა ჰორტმა დამარცხა რეე, დონერმა-კუიპერსი. გლეგორიჩისა და ანდერსონის, აგრეთვე ჰიუბნერისა და ლენდიელის პარტიები ყაიმით დამთავრდა. ივკოვ-ლაბეგეგისა და ვან-დენ-ბერგ-ნაიდორფის პარტიები დაუმთავრებელი დარჩა.

ექვსი ტურის შემდეგ წინ არის ჰორტი — 4,5 ქულა.

ვაჟთა ტურნირის პარალელურად აქვე მიმდინარეობს მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ასპარეზობა, რომელშიც მონაწილეობს 8 ქვეყნის 12 წარმომადგენელი.

სტარტზე გამარჯვების შემდეგ საბჭოთა მოჭადრაკემ კუშნირმა მეორე ტურში დამარცხა ჰოლანდელი ტუკი და 2 ქულით ერთპიროვნული ლიდერია.

კალათბურთის ფართან

ეგროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაზე „კალათბურთში ვაჟთა გუნდებს წორის საბჭოთა კავშირიდან გამოდის ცსკა. მეოთხედფინალურ ქვეჯგუფში ჩვენს კალათბურთელებს პირველი მატჩი ჰქონდათ მოსკოვში. მაღრიდის „რეალთან" და გიმარჯვეს 73:66. ამ გუნდების მეორე შეხვედრა შედგება მადრიდში 21 იანვარს. საბჭოთა კალათბურთელები უკვე გამგზავრნენ ესპანეთში.

გარდა მადრიდის „რეალისა" ცსკა ორ-ორჯერ შეხვდება ბელგიის „სტანდარდსა" და სუფიის „აკადემიკს". მეოთხედფინალურ ქვეჯგუფში გამარჯვებული ორი გუნდი ხახვარფინალში გავა.

ვარშავაში მიმდინარეობს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან პოლონეთის დედაქალაქის განთავისუფლების 26 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი კალათბურთში ვაჟთა გუნდებისათვის. საბჭოთა კავშირიდან გამოდის მოსკოვის „დინამო". დინამოელებმა თავიანთ შესარჩევ ქვეჯგუფში დამარცხეს ბუქარესტის გუნდი 96:70, სოფიის კალათბურთელები 87:54 და ვარშავის „ლეგია" 76:56. მეორე ქვეჯგუფში ლოდერია ვარშავის გუნდი ახს. ქვეჯგუფებში გამარჯვებულებს გადამწყვეტი პაექრობა ექნებათ მთავარი პრიზისთვის.

ი. ბ. ბოცვაძე—

სურათებზე: ზევით — თბილისის „დინამოს" უფროსი მწვრთნელი გ. კაჩალინი ფეხბურთელებთან საუბრის დროს; ქვევით — დინამოელები მძლეოსნურ კროსს ბაკურიანში.

ფოტო ო. გელაშვილისა.

დინამოელები ემზადებიან

ახლოვდება ფეხბურთის გაზაფხული და მასთან ერთად დიდი ფეხბურთის დღეები. როგორც ყოველთვის, წელსაც საგულდაგულო სამზადისი მიმდინარეობს, არის გარკვეული ცვლილებანი გუნდების შემადგენლობაში, ხელმძღვანელობაში.

ახალი წლის პირველი დღეებიდანვე შეუდგნენ ვარჯიშს თბილისის დინამოელები უფროსი მწვრთნელის გ. კაჩალინის ხელმძღვანელობით. ჯერ მათ რამდენიმე დღე თბილისში დაჰკვეს, შემდეგ კი ბაკურიანს იწვიეს. ამ ეტაპზე მთავარი ყურადღება დათმობილი აქვს ფეხბურთელთა ფიზიკურ მომზადებას. დინამოელები ბაკურიანში აწყობდნენ მძლეოსნურ კროსებს, არ ივიწყებდნენ სპორტის სხვა სახეობებსაც, ისვენებდნენ.

და მაინც მთავარი წინ არის — საფეხბურთო მოედანი და ბურთით ვარჯიში, საკონტროლო მატჩები და მონოლითური ანსამბლის შექმნა. თბილისის დინამოელებს შეკრება ლესელიძეში ექნებათ. სწორედ აქ დადგინდება საბრძოლო შემადგენლობა, შემდეგ კი სსრ კავშირის თასის გათამაშების მატჩიც კუიბიშევის „კრილია სოვეტოვთან" სომშორს არ არის.

დინამოელთა სპორტულ ცხოვრებაში არის მნიშვნელოვანი სიახლე. გარდა პოპულარული ტურნირებისა — სსრ კავშირის პირველობისა და თასის გათამაშებისა, ისინი პირველად მიიღებენ მონაწილეობას ბაზრობათა თასის გათამაშებაში.

დიახ, დინამოელები ახალი სეზონისათვის ემზადებიან. ფეხბურთის გულშემატკივრებს სჯერათ, რომ ჩვენი თანამემამულეები მათ არა ერთ სიხარულს მოუტანენ.

რ ა ქ ვ ე ნ ი მ ე ს ტ რ ი ქ ო ნ ი ო ნ

● კაგგოლოგოვოში გამართულ ბიატლონისტთა საერთაშორისო ტურნირზე პირველ ადგილზე გამოვიდა სსრ კავშირის გუნდი და „შეგობრობის თასი" მოიპოვა.

● ტალინში გამართულ ძალოსანთა ასპარეზობაზე წარმატებით გამოვიდა პირველი მძიმე წონის შტანგისტი ი. ტალტსი. მან აპიმა 201,5 კილოგრამი და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ეს ი. ტალტსის ოცდამერვე მსოფლიო რეკორდია.

● მსოფლიო რეკორდსმენმა ლენინგრადელმა ნადეჟდა ჩიეოვამ უსაფლეს მიღწევათა ცხრილში კიდევ ერთი შესწორება შეიტანა. მან ბირთვი კრა 18 მეტრსა და 62 სანტიმეტრზე. ეს მსოფლიოს ახალი რეკორდია (დახურულ შენობებში).

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი

აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1971 წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე

წარმოებისაგან მოწყვეტით 1. სუბტროპიკული კულტურები

წარმოებისაგან მოწყვეტლივ 1. სასოფლო-სამეურნეო მანქანები 2. სახ.-სამ. წარმოების მექანიზაცია 3. სახ.-სამ. მანქანებისა და იარაღების ექსპლოატაცია 4. სელექცია და მეთესლეობა 5. სუბტროპიკული კულტურები (ეკოლოგია) 6. ფიტოპათოლოგია და მცენარეთა დაცვა 7. სახ.-სამ. წარმოების ეკონომიკა, ორგანიზაცია და დაგეგმვა.

წარმოებისაგან მოწყვეტით ასპირანტურაში მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი არაუხნეს 35 წლისა, ხოლო წარმოებისაგან მოწყვეტლივ ასპირანტურაში — არაუხნეს 45 წლისა, რომლებსაც დამთავრებული უმაღლესი განათლება აქვთ და გამოიჩინეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ან უნარი, სახალხო მეურნეობის სპეციალისტთა და ახალგაზრდა სპეციალისტთა რიცხვიდან.

ასპირანტურაში შემავალ სახალხო მეურნეობის სპეციალისტებს უნდა ჰქონდეთ არჩეული სპეციალობის პროფილით პრაქტიკული მუშაობის სულ მცირე ორი წლის გამოცდილება უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ.

დაუსწრებელი და საღამოს უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულნი, რომლებსაც აქვთ არჩეული სამეცნიერო სპეციალობის პროფილით სულ მცირე ორი წლის პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება, შეიძლება მიმღები კომისიების მიერ დაშვებულ იქნან ასპირანტურაში შესასვლელი გამოცდების ჩასაბარებლად უმაღლოდ უმაღლესი სასწავლებლების დამთავრების შემდეგ.

1. განცხადება ასპირანტურაში მიღების შესახებ შეტანილ უნდა იქნას უმაღლესი სასწავლებლის რექტორის სახელზე. განცხადებას უნდა დაერთოს:

ა) კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი ფოტოსურათით; ბ) დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან; გ) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების, სამეცნიერო-ტექნიკური ანგარიშების სია, ცნობები გამოგონებებზე, საცდელ-საკონსტრუქტორო ნამუშევრებზე. ის პირები, რომლებსაც არა აქვთ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, სამეცნიერო-ტექნიკური ანგარიშები, აგრეთვე საცდელ-საკონსტრუქტორო ნამუშევრები და გამოგონებანი, წარადგენენ სამეცნიერო მოხსენებებს (რეფერატებს) არჩეულ სპეციალობაში; დ) მოწმობა ფორმა № 6 მოცემული სპეციალობაში გათვალისწინებული საკანდიდატო გამოცდების ჩაბარების შესახებ იმ პირთათვის, რომლებსაც მფლანგან ან ნაწილობრივ ჩაბარებული აქვთ საკანდიდატო გამოცდები; ე) პასპორტი და უმაღლესი სასწავლებლის დიპლომს ასპირანტურაში შემსვლელნი წარადგენენ პირადად.

ასპირანტურაში განცხადებები მიიღება 1971 წლის 10 თებერვლამდე.

საკონკურსო გამოცდები მოწყობა 1971 წლის 15 თებერვლიდან.

ასპირანტურაში გამოცდების ჩასაბარებლად დაშვებულ პირებს გამოცდების ჩაბარებისათვის მოსამზადებლად ეძლევათ დამატებითი შვებულება 30 კალენდარული „დღით სამუშაო ადგილზე ხელფასის შენახვით.

ასპირანტურაში შემსვლელნი აბარებენ საკონკურსო გამოცდებს სპეციალობაში, სკკპ ისტორიაში და ერთ-ერთ უცხო ენაში უმაღლესი სასწავლებლების პროგრამის მოცულობით.

განცხადებები და დოკუმენტები უნდა გაეგზავნოს შემდეგი მისამართით: ქალაქი სოხუმი, კელასური, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი.

თბილისის № 43 ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1971 წლის 1 თებერვლიდან 1 მარტამდე

მგმაკაცის (ზედა ტანსაცმლის) კვალიფიციური მკერავების სპეციალობაზე.

სწავლების ხანგრძლივობა ერთი წელია. სასწავლებელში მიიღებიან 8-10 კლასის განათლების მქონე 15-25 წლის ასაკის ახალგაზრდები.

განცხადებას უნდა დაერთოს: 1. განათლებისა და დაბადების მოწმობა (დედანი); 2. ავტობიოგრაფია, 3. ცნობა მშობლთა საქმიანობის და ოჯახური შემადგენლობის შესახებ; 4. დახასიათება სკოლიდან; 5. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; 6, 4 ცალი ფოტოსურათი (ზომით 3X4).

მიღებადნობა დაიწყება მიმდინარე წლის 1 მარტს.

ჩარიცხული მოსწავლეები მიიღებენ სტიპენდიას საერთო წესით და საწარმოო სწავლების პროცესში გამომუშავებული თანხის 33 პროცენტს.

საშუალო განათლების მქონე მოსწავლეები სასწავლებლის წარმატებით დამთავრების შემდეგ სპეციალობის მიხედვით კონკურსგარეშე ჩაირიცხებიან უმაღლეს სასწავლებლებში საღამოს დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებებზე.

სასწავლებელში სწავლის დრო ჩაითვლება მუშაობის უწყვეტ სტაჟად.

სასწავლებლის მისამართი: ქ. თბილისი, ლენინის რაიონი, ხუშვლიანის ქ. № 65, მე-7 საამქროს ფაბრიკის ტერიტორიაზე, ავტობუსი № 18, ტრამვაი № 1, 5, 3, მეტრო „დიდუბე", ტელეფონი 66-16-62.

ქ. თბილისის № 35 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1971-72 სასწავლო წლისათვის

სასწავლებელი ამზადებს ქალისა და კაცის ზედა ტანსაცმლის კვალიფიციურ მკერავებს.

მოსწავლეები კონსტრუირების გაკვეთილებზე შეისწავლიან კაბისა და შარვლის გამოჭრას.

სასწავლებელში მიიღებიან 16-დან 25 წლამდე ასაკის ქალიშვილები, რომლებსაც აქვთ საშუალო ან 8 კლასის განათლება.

სხვაზე ვაჟა საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდებისათვის 1 წელია, 8 კლასის განათლების მქონე ახალგაზრდებისათვის — 2 წელი.

მოსწავლეები, რომლებსაც ყველა საგანში ექნებათ აკადემიური წარმატება, უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით და მიეცემათ პრაქტიკული მუშაობის შედეგად გამომუშავებული თანხის 33 პროცენტი.

წარჩინებით კურსდამთავრებულებს, რომლებსაც აქვთ საშუალო განათლება, უფლება ეძლევათ ჩაირიცხონ უმაღლესი სასწავლებლის საღამოს დასწრებულ ან დაუსწრებელ განყოფილებებზე უკონკურსოდ, შესაბამის სპეციალობაზე, ხოლო დღის დასწრებულზე — საერთო წესის მიხედვით. სწავლის პერიოდი ითვლება საწარმოო სტაჟად.

მსურველებმა განცხადება უნდა შემოიტანონ სასწავლებლის დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების თანდართვით: 1. საშუალო განათლების ატესტატი; 2. არასრული საშუალო განათლების მქონე შემომსვლელებმა უნდა წარმოადგინონ 8 კლასის დამთავრების მოწმობა; 3. დაბადების მოწმობა; 4. ავტობიოგრაფია, 5. სამედიცინო ცნობა ფორმა № 286, 6. სამი ცალი ფოტოსურათი ზომით 3X4; 7. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 8. დახასიათება სკოლიდან.

სასწავლებელში შემსვლელი პირადად ადგენს პასპორტს.

განცხადების მიღება 25 თებერვლამდე.

მიღებადნობა დაიწყება 1 მარტს.

სასწავლებლის მისამართი: თბილისი, კალინინის ქ. № 60. ტელ. 95-26-66. 95-62-38.

ქ. თბილისის № 60 ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1971-72 სასწავლო წლისათვის

ქართული და რუსული სექტორის შემდეგ სპეციალობებზე: 1. პლასტმასის მწნეხავები, 2. მტვიფრავები, 3. ხარატები, 4. ელექტრომემონტაჟიები, 5. მექანიკურ სამუშაოთა ამწყობი ზეინკლები.

სასწავლებელში მიიღებიან გოგონები და ვაჟები საშუალო განათლებით 17-25 წლის ასაკის.

სასწავლებელში ჩარიცხული მოსწავლეები მიიღებენ სტიპენდიას 23-36 მან. ოდენობით მოსამზადებელი პროფესიების შესაბამისად. აგრეთვე საწარმოო პრაქტიკის პერიოდში გამომუშავებული ხელფასის 33 პროცენტს. მოსწავლეები, რომლებიც სასწავლებელს დამთავრებენ ფრიადზე, უმაღლესი სასწავლებლის დაუსწრებელ და საღამოს განყოფილებებზე ჩარიცხებიან კონკურსგარეშე.

განცხადება შეტანილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების თანდართვით:

1. საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი (დედანი), 2. დაბადების მოწმობა (დედანი), 3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 4. ფოტოსურათი (3X4) 6 ცალი, 5. პასპორტი და სამხედრო ბილეთი ან მიწერის ბარათი (წარდგენილ უნდა იქნას პირადად).

სასწავლებელში ახალგაზრდების მიღება წარმოებს საყოველთაო მერჩევით საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატში აღნიშნული ნიშნების საფუძველზე.

სწავლა იწყება 1 მარტიდან.

მისამართი: თბილისი, ა. წერეთლის პროსპექტი № 139, № 60 ტექნიკური სასწავლებელი. ტრამვაი №№ 6, 5, 10, 3. ავტობუსი №№ 18, 24, 46, 43, 54, 55. მეტრო „დიდუბე". ტელეფონი 66-19-00, დამატება 3-33.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

20 იანვარი

11.15 — გადაცემა „პოეზიისა და მუსიკის ტიტანები", 12.05 — მხატვრული ფილმი „დედა გაიხოვდა", 17.00 — „სკოლების დასასმარებლად", 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — „ცეროდენას ეკრანი", 18.45 — „ბავშვებისათვის — „ამდენრეული ხე", 19.05 — „ეკონომიური ცოდნის საფუძვლების შემსწავლელთათვის", 19.25 — კინონარკვევი „ამას რაღა ვუწოდოთ?" (ქართული ენაზე), 19.45 — „ქართული მუსიკა-70", 20.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მეგობარ-ამხანაგებზე" (პირველი სერია), 21.45 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 22.10 — „სახალხო კონტროლის ეკრანი", 22.45 — რსფსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატები თეატრალურ ხელოვნებაში (გადმოცემა მოსკოვიდან).

21 იანვარი

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — კინოპროგრამა, 11.40 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა „შენთვის, კომკავშირო!" (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.05 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი — „მეგობარ-ამხანაგებზე" (პირველი სერია), 18.05 ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — „ცეროდენას ეკრანი", 18.35 — ადამიანი და სამყარო" — „დედა-მიწა-მთვარე", 19.05 — „ახალგაზრდობისათვის — „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს"; 20.25 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.50 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. 1. გადაცემა „ლენინურ ადგილებში". 2. სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მეგობარ-ამხანაგებზე" (მეორე სერია).

თეატრები

20 იანვარი

ს. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — დონ-კიხოტი; რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — გვადი ბიგვა; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — მთვარის მოტაცება; გრიბოედოვის სახელობის — ვარშავული მელოდია (მე-4 აბონ. მე-5 წარმოდგენა); ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ცოლები და ქმრები.

კინო

20 იანვარი

ოქტომბერი, საქართველო (მწვანე დარბაზი), სპარტაკი, კოლხიდა, ბათუმი, ვარდა, თბილისი — უკანასკნელი რელეკვნი; ამირანი, საქართველო (წითელი დარბაზი), ისანი, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი, ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი — მწვანე ძეწკვები; გორკის სახელობის კულტურის სახლი — ყველაფერი გასაყიდად; გაზაფხული, 26 კომისრის სახელობის (წითელი დარბაზი), ნაკადული, სიხარული — მანდილოსანი ლოდინაგზე.

რედაქტორის მოადგილე ბ. თათარიშვილი.

ტბილისი, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-98-08, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, საქდესნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22 98, მრეწველობის — 93-20 84, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 94-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და ხელოვნების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, სატირისა და ფელეტონის — 99-60-91, უცხოეთის — 93-95-97, წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЭ 08429

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.